

შპს ზალა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს „ზალა“

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის	13
5. ძირითადი საშუალებები	14
6. არამატერიალური აქტივები	15
7. მარაგები	15
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
9. ფული და ფულის ექვივალენტები	16
10. მიღებული სესხები	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
12. საგადასახადო ვალდებულებები	16
13. შემოსავალი	17
14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17
15. სხვა შემოსავალი	17
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18

შპს "ზალა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2024	31.12.2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1 108 605	1 188 900
არამატერიალური აქტივები	367 672	577 770
საინვესტიციო ქონება	-	-
ბიოლოგიური აქტივი	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1 476 277	1 766 670
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	53 984	58 655
გაცემული სესხები	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 883	2 410
ფული და ფულის ეკვივალენტები	11 695	15 047
სულ მიმდინარე აქტივები	67 562	76 112
სულ აქტივები	1 543 839	1 842 782
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	36 082	36 082
დაგროვილი მოგება	623 143	697 190
სულ საკუთარი კაპიტალი	659 225	733 272
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები (მოგება)	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	1 373	14 940
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	75 016	78 405
საგადასახადო ვალდებულებები	28 374	26 517
ანარიცხები	932	658
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	778 919	988 990
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	884 614	1 109 510
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 543 839	1 842 782

შპს "ზალა"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
ამონაგები	1,079,072	1,599,899
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(317,404)	(479,218)
საერთო მოგება	761 668	1 120 681
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(741 659)	(620 440)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	(93 678)	(64 306)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	-73 669	144 790
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0	2 000
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო	-1278	35 550
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-
ფინანსური ხარჯი		(36 486)
ფინანსური შემოსავალი	900	4 904
მოგება დაბეგვრამდე	-74 047	289 747
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება/ზარალი	-74 047	289 747
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სრული შემოსავალი	-74 047	289 747

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების
ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2022	0	-		
წლის წმინდა მოგება	36 082		445 047	443 525
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	36 082	-	407 443	443 525
წლის წმინდა მოგება	36 082		289 747	733 272
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	36 082	-	697 190	733 272
წლის მოგება/ზარალი	36 082		(74 047)	659 225
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	36 082	-	623 143	659 225

შპს "ზალა"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	207,996	284 005
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	-
მარაგების გაუფასურება	-	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	-
ცვლილება ანარიცხებში	-	-
(შემოსულობა)/ზარალი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-	2000
(შემოსულობა)/ზარალი ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	-	-
(შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	-	-
დარიცხული მისაღები დივიდენდი	-	-
წმინდა ფინანსური ხარჯი	-	-
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/კლება	-	(5 667)
მარაგების (ზრდა)/კლება	-	4 383
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(კლება)	-	(26 075)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(კლება)	-	11 292
ანარიცხების ზრდა/(კლება)	-	481
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		
მიღებული პროცენტი	-	-
გადახდილი პროცენტები	-	(36 486)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	207 996	233 933
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(88 666)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	-	-
საინვესტიციო ქონების შეძენა	-	-
ბიოლოგიური აქტივების შეძენა	-	-
გაცემული სესხების ზრდა	-	-
გაცემული სესხების შემცირება	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(88 666)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/ (კლება)	-	-
სასესხო ვალდებულების ზრდა	-	-

სასესხო ვალდებულებების დაფარვა	-	(1 284 007)
დამფუძნებლის შენატანის ზრდა/კლება	-210 070	1 063 696
გადახდილი დივიდენდები	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(-210 070)	(220 311)
 ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ზრდა (კლება)	 (-2074)	 (75 044)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15 047	54 541
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	-1278	35 550
 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	 11 695	 35 550

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ზალა“ (400071729) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2012 წელს. დამფუძნებელი, 100% - იანი წილის მფლობელი და დირექტორი, არის ინგა გიგაური (პ/ნ 35001003540).

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესარიონ ბელინსკის ქუჩა, N 2

ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ბესარიონ ბელინსკის ქუჩა, N 2.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2022 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2022 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლით გამოწვეული კორექტირებები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბერს, 2024 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2024 წლის 01 იანვრისთვის	2.6894	2.9753

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	4-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 5-9 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივს წარმოადგენს გუდვილი.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე,

შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს, როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს „ზალა“- ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. კომპანია ცვეთას ითვლიდა წრფივი მეთოდით საგადასახადო მოგების (ზარალის) განსაზღვრისათვის. წარდგენის მიზნებისთვის გადამოწმდა მიმდინარე და წინა წლის ცვეთა და ამორტიზაცია, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

ნაშთი 31.12.2022 კორექტირებამდე	დაგროვილი ცვეთა	ნარჩ.დ-ბა
1 279 690	89 470	1 190 220
ნაშთი 31.12.2022 კორექტ. შემდეგ	დაგროვილი ცვეთა	ნარჩ.დ-ბა
1 279 690	89 470	1 190 220
ნაშთი 31.12.2023 კორექტირებამდე	დაგროვილი ცვეთა	ნარჩ.დ-ბა
1 365 583	176 683	1 188 900

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024, 2023, 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნა	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპ. საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	1 169 699	16 791	93 200	0	1 279 690
შემოსვლა	25 848	10 422	72 416	0	108 686
გასვლა	0	0	22 793	0	22 793
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	1 195 548	27 213	142 823	0	1 365 584
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	64 764	3 594	21 112	0	89 470
ცვეთა 2023	59 777	2 605	24 830	0	90 617
სულ დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	124 541	6 199	45 942	0	176 682
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	1 104 935	13 197	72 088	0	1 190 220
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	1 071 006	21 013	96 881	0	1 188 900
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	1 107 194	8 874	82 537	0	1 198 605

შპს „ზალა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2024 , 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასაშვები ღირებულება	გუდვილი	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2022	1 050 490	1 050 490
შემოსვლა	0	0
გასვლა	0	0
დასაშვები ღირებულება 31.12.2023	1 050 490	1 050 490
დაგროვილი ცვეთა	0	0
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	262 623	262 623
ცვეთა	210 097	210 097
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	472 72	472 720
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	787 867	787 867
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	577 770	577 770
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	367 672	367 672

7. მარაგები

თვითღირებულება	ნედლეული და მასალები	სულ
თვითღირებულება 31.12.2022	54 272	54 272
შემოსვლა	496 860	496 860
გასვლა	492 477	492 477
თვითღირებულება 31.12.2023	58 655	58 655
თვითღირებულება 31.12.2024	53 984	53 984

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები	სავაჭრო მოთხოვნები	გადახდილი ავანსები	სულ
მოთხოვნები 31.12.2022	7 349	728	8 077
მოთხოვნები 31.12.2023	1642	768	2 410
მოთხოვნები 31.12.2024	1883	0	1883

შპს „ზალა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ვიფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ექვივალენტები	სალარო	ბანკი	სულ
ფული 31.12.2022	273	54 267	54 541
შემოსვლა	433 486	3 593 774	4 027 260
გასვლა	433 718	3 633 037	3 676 408
ფული 31.12.2023	41	15 006	15 047
ფული 31.12.2024	23	11 672	11 695

10. მიღებული სესხები

სესხები	
სესხის ნაშთი 31.12.2022	1 321 825
სესხის აღება	-
სესხის დაფარვა	-1 284 007
საკუროს სხვაობის გავლენა 31.12.2023	- 37 819
სესხის ნაშთი 31.12.2023	0
სესხის ნაშთი 31.12.2024	0

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი 31.12.2023	გასვლა	შემოსვლა	ნაშთი 31.12.2024
მოწოდ. და მომსახურებიდან წარმოქმნ. ვალდებულებები	76 405	663 587	660 198	73 016
მიღებული ავანსები	14 940	23 448	9 881	1 373
გადასახდელი ხელფასები	2000	0	0	2000
ვალდებულებები დამფუძნებლის წინაშე	988 990	332 693	122 623	778 920
სულ	1 082 335	1 019 728	792 702	855 309

12. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები	
საგადასახადო ვალდებულებები 31.12.2022	15 225
დარიცხვა	352 486

შპს „ზალა“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ცვიფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

გადახდა	341 194
საგადასახადო ვალდებულებები 31.12.2023	26 517
საგადასახადო ვალდებულებები 31.12.2024	28 374

13. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები სულ	1 079 072
შემოსავალი მომსახურებიდან	1 066 851
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	11 154
სხვა საოპერაციო შემოსავლები	1 067

14. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, კომპანიის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული საკალკულაციო ბარათების მიხედვით.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება სულ 2024 წ - 317 404 ლარი.

15. სხვა შემოსავალი

კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალი 1278 ლარი

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები სულ	835 337
შრომის ანაზღაურება	213 556
სოციალური დანარიცხები	3 885
კომუნიკაციის ხარჯები	1 525
დაზღვევა	3 828
საკონსულტაციო ხარჯები	2 782
ცვეთა და ამორტიზაცია	297 597
რეკლამის ხარჯები	93 678
სხვა საგადასახადო ხარჯი	15 436
სხვა საერთო ხარჯი	203 050

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

შპს ზალას დაკავშირებული საწარმო არ აქვს.

18. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

მთავარი ბუღალტერი:

ნათია ბარნოვი